საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030420881138520

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/5085 **17 / თებერვალი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, თამარ
გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2020 წლის 29 იანვრის N01/1048 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ,,2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის N5003-Iს დადგენილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხს, სოციალური მომსახურების სააგენტო, ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისი პუნქტების თანახმად, კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ:

გ) უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის რეგულარულად, სისტემურად და პროაქტიულად განხორციელება, გააკონტროლოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულებების ნებართვის გაცემისა და პირობების შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა;

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილების დანართის (2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი (ქ. თბილისის მასშტაბით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები (რეგიონების მასშტაბით) უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგს, მე-13 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის განმახორციელებლის მიერ, შერჩევის პრინციპით. მონიტორინგის განხორციელებისას ხდება მიმწოდებელთან განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შეტყობინებისას მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, მიმწოდებლისაგან მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნა, საჭიროებისამებრ, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და შემთხვევასთან დაკავშირებულ სხვა პირებთან გასაუბრება. თუმცა, სააგენტოს კომპეტენციიდან გამომდინარე, მონიტორი შემოიფარგლება მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების ან შემთხვევის შესახებ შეტყობინების სისტემაში მიწოდებულ შესაბამისი ინფორმაციის ადგილზე შემოწმებით და არ ახორციელებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს.

ი) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ოჯახის დეკლარაცია ხელმისწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული საშუალებით;

უსინათლო პირის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას, იმ შემთხვევაში, თუ არ იმყოფება ოჯახის სხვა წევრი ან მინდობილი პირი, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოიყენება სატელეკომუნიკაციო საშუალება, რათა მოხდეს სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ „ოჯახის დეკლარაციის“ შევსების პროცესის ჩაწერა, მაძიებელი/რეგისტრირებული პირის თანხმობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ლ) დანერგოს მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების დახმარების ღონისძიებები, მათ შორის, გაითვალისწინოს ისინი სოციალური შეღავათების სისტემაში; შექმნას და გაანალიზოს მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია;

სააგენტო უზრუნველყოფს მრავალშვილიანი მშობლ(ებ)ისთვის (პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები და მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, კანონმდებლობის შესაბამისად) ელექტროენერგიის შეღავათით სარგებლობას.

ს) უზრუნველყოს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების გამოვლენა, მათთვის ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ყველა შესაძლო რესურსის გამოყენებით თავიდან აიცილოს ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება მათი სიღარიბის საფუძვლით;

ჰ[35]) გააძლიეროს უკიდურესი სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისგან ბავშვთა სათანადო დაცვა.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის № 141/ნ ბრძანებაში 2018 წლის 20 სექტემბერს № 01/12/ნ ბრძანებით შესული ცვლილების შესაბამისად, 2018 წლის 1 ნოემბრიდან ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების დროს, თუ ოჯახში არის 18 წლამდე ოჯახის წევრი ივსება „ოჯახში მცხოვრები (0-დან 18 წლამდე) ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის ფორმა“. ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და ითვლება ქულა, რაც განსაზღვრავს შემდგომში შესაბამისი სამსახურის ჩართულობას.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური